№ 62 21 მარტი, ოთხშაბათი 1866—1879 21 მარტი, ოთხშაბათი № 62

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ... ...

6.) ხარჯი ეკიპაჟებზე, რომელნიც უფრო აფუჭებენ მოსტოვოის და მოსსეს ვინმეც ცხენები, რომელთაც აძევს ამ ჟამად თავისი ხარჯი.

7.) ბაჟი საქონლის შემოტანისა და გასატანისა ქალაქიდამ.

ჩამოთვლის რა უფ. სტატკოვსკი ქალაქის საჭიროებას და ღონისძიებას, რომლითაც ამ საჭიროების დაკმაყოფილება შეიძლება,—მიჰმართავს ქალაქის რჩევას და სთხოვს ამოირჩიოს შვიდი კამისია; ამათ დანიშნულება იქნება შემდეგი:

პირველისა: გამოიძიოს რა მიზეზებისაგან წარმოსდგება საზრდოს სიძვირე ქალაქში. კამისიამ უნდა შეიტყოს საზრდოს ფასი სოფლებში ქალაქის 50 ვერსზე იმრგვლივ და რკინის-გზის ახლოს მდებარე სოფლებში; გამოიკვლიოს, ვარაუდათ, რა ეღირება საზრდოს ჩამოტანა სოფლებიდამ და გამოიანგარიშოს რა ფასადაც შეიძლება ამ საზრდოს გაყიდვა ქალაქში; შეიტყოს სოფლებში რა დახმარება და შემწეობა ეჭირვება სოფლელ ხალხს რომ გაუადვილდეს მას საზრდოს გასყიდვა? შეუძლიათ თუ არა სოფლელებს თავიანთი სანდო კაცი გამოგზავნონ ქალაქში, რომელიც მიიღებდეს იმათგან საქონელს, გაყიდდეს და მოგებულ ფულს ჩააბარებდეს?

მეორე კამისიამ უნდა გამოარჩიოს ქალაქში ბაზრის ადგილი და შეადგინოს პროექტი ბაზრის გამართვისა. რასაკვირველია, ჩვენ რომ სხვა დიდ ქალაქებს მივბაძოთ და ქალაქში შემოტანილს საზრდოს თავისი ხარჯი გადავახდევინოთ, ეს დიდს შემოსავალს მოუტანდა ქალაქს, მაგრამ ჩვენ ახლა მხოლოდ იმას უნდა ვცდილობდეთ რომ ქვეყნის ხალხი შევაჩვიოთ ვაჭრობას უშუამდგომლოთ, უჩარჩებოთ. ჩვენ უნდა გავმართოთ ბაზრები და დუქნები და უქირავოთაც მივცეთ სოფლელებს და წავახალისოთ ამგვარ ვაჭრობაზე; და როდესაც სოფლელი დაინახავს ამაში თავის სარგებლობას, მაშინ საზრდოს გადასახადიც ადვილი და სამართლიანი იქნება.

მესამე კამისიას მიენდოს პროექტის შედგენა ქალაქის საზოგადო ბანკისა და ურთიერთობრივი უშიშრათ მყოფობისა საქალაქო ქონებათა.

მეოთხე კამისიამ უნდა დაადგინოს წესი ხარჯის გადასახადისა: ძაღლებზე, მოსამსახურეებზე, ეკიპაჟებზე, საქონლის შემოტანისა და გასატანისა და სხვ.

მეხუთე კამისია დაინიშნოს უძრავი ქონების გადაფასებისათვის. მეექვსემ—ამოარჩიოს მტკვარზე ადგილი (ფონტის იქით) ახალი ხიდის გაყვანისათვის და გამოიკვლიოს რა პირობებით შეიძლება ამ შენობის აგება.

მეშვიდე კამისიამ უნდა გამოიკვლიოს რა მიმართულება მიეცეს ქალაქში ცხენ-რკინის გზასა *) და რა პირობით შეუძლია ქალაქს ამით ისარგებლოს.

ამაში მდგომარეობს უფ. სტატკოვსკის პროექტი შესახებ ქალაქის გაუმჯობესობისა და მის შემოსავლის წარმატებისა. ქალაქის რჩევამ მიიღო ეს პროექტი და, როგორც „დროების“ № 56 ვაცნობეთ მკითხველს, მისი ასრულება მიანდო სამს კამისიას (შვიდის მაგიერათ): ფინანსთ კამისიას (финансовая коммисія), შენობითი კომისია (строительная коммисія) და სამეურნეო კამისიას (хозяйственная коммисія).

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენ თანავუგრძნობთ უფ. სტატკოვსკის წინადადებას; და თუმცა ამ პროექტის ზოგიერთი მხარე არ არის ვრცლათ და დაწვრილებით გამოყვანილი (ამას ამორჩეულ კამისიებისაგან უნდა მოველოდეთ), მაგრამ საქმის კვანძი, მისე უმთავრესი ძარღვი გამოაშკარავებულია,—ის რომ ქალაქის კეთილდღეობა და საზრდოს სიძვირე ან იაფობა ერთმანეთზე დამოკიდებულია, რომ ამათ შორის დაურღვეველი კავშირი არსებობს. ყველამ იცის რომ ქალაქის გაუმჯობესობა მის შეძლებაზეა დამყარებული და ქალაქის შეძლება თვითეულ მოქალაქის გადასახადზეა დამოკიდებული, რაც უფრო მდიდარია მოქალაქე იმდენად უადვილდება ხარჯის გადახდა და რაც უფრო იაფია საზრდო და ნაკლებათ უჯდება მოქალაქეს თავის რჩენა, იმდენად მეტი რჩება მას თავის კერძო შემოსავალიდამ და უადვილდება ქალაქის გადასახადი. აქედამ ცხადია რომ ქალაქის კეთილდღეობა და შეძლება საზრდოს და სხვა უსაჭიროესს საქონლის იაფობაზეა დამოკიდებული.

ამიტომაც უპირველესი მოვალეობა ჩვენი ქალაქის მართველობისა იმაშია, რომ ღონის-ძიება იხმაროს საზრდოს გაიაფებისათვის. ქალაქის მართველობამ უნდა აგვაცალოს ჩარჩი, რომელიც მყიდველის და გამსყიდველის შუა ერევა და ერთისა და მეორისაგანაც სარგებლობს; დაიხსნას ვაჭრობა ამ უკანონო და საზოგადოების მავნე შუამდგომელისაგან. როდესაც კერძო კაცი თავისის მოქმედობით ავნებს და აზარალებს საზოგადოებას, იმ პირებმა, რომელთაც ჩვენ მივანდეთ ჩვენი კეთილდღეობა, უნდა დაიცვან და დაიფარონ ჩვენი საერთო ინტერესები.

ეს საქმე დიახაც ძნელია, მაგრამ თუ ახალმა ქალაქის რჩევამ სისრულეში მოიყვანა, დიდს მადლობას და პატივს დაიმსახურებს ქალაქისაგან; ჩვენ-და-სანუკვემოდ უნდა ვსთქვათ, რომ რჩევას კარგათ ესმის ამ საქმის საჭიროება და მინამ დიდის გულ-მოდგინეობით შეუდგა მის ასრულებას.

ა.

*) ცხენ-რკინის გზა (конно-желѣзная Tramway) ემსგავსება რკინის-გზასა, მხოლოდ ვაგონი უფრო მომცროა და მაშინის მაგიერათ წყვილი ცხენი აბია. თვითო ვაგონში ოცამდე კაცი ეტევა. ყველა ევროპის სატახტო და დიდქალაქებში ეს ვაგონები დადიან ქუჩებში როგორც დილიჟანსები და ომნიბუსები. რუსეთში ამისთანა ცხენ-რკინის გზა გამართულია პეტერბურღში და მოსკოვში.

დღიური

** ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული გაგონილი ამბავი, უფ. მართებულისმა სენატმა შეიწყნარა დავით ჩქოტუას დამცველის უფ. სპასოვიჩის თხოვნა, რომ სენატს დაერღვია ტფილისის სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება და რომელსამე სხვა სამოსამართლო პალატაში გაერჩიათ ეს საქმე.

ეს ამბავი შემცდარი ამბავი გამოდგა: პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან ახლა, რომ სენატმა არ შეიწყნარა უფ. სპასოვიჩის თხოვნა და დაამტკიცა ტფილისის სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება დავით ჩქოტუის საქმის თაობაზედაო.

** თუშეთიდამ გვატყობინებენ, რომ იქაური მეცხვარეები შირაქის საბალახოებზედ ძლიერ დაზარალებულან ცხვრების სიკვდილის გამო ერთ გვარი ავათმყოფობით, რომელსაც ეძახიან „ჩიჩრახვი“. ზოგი იმათგანი (მეცხვარე) სულ ხელ ცარიელი დარჩომილა, ე. ი. გამოცლია ხელიდამ მთელი ცხვრის ფარა და „ცარიელი ჯოხებით“ დაბრუნებულა სოფელშიო. შარშანაც ამ გვარივე ზარალი ჰყოფილა, მაგრამ წელს უფრო საგრძნობელიო.

ქალაქის რჩევის სხდომა

19 მარტს

უფ. სეკრეტრისაგან წარსულ სხდომის პროტოკოლის წაკითხვის შემდეგ, თავსმჯდომარის მოადგილემ უფ. დოლუხანოვმა წაიკითხა მარიათინსკის ქვრივის დეპეშა, რომელშიაც ის მადლობას უძღვნის ქალაქის თავს ტფილისის მცხოვრებისაგან თანაგრძნობის გამოცხადებისათვის.

შემდეგ პირველი საგანი, რომელზედაც მოილაპარაკა კრებამ, იყო უფ. თ ა მ ა მ შ ო ვ ი ს წინადადება იმის შესახებ, რომ თეატრისა და მუზეუმის ფულის—8,000 მანეთის—მთავრობისაგან, დაჭერისათვის ჯერ ნუ იჩივლებს ქალაქის გამგეობა, უკეთესი იქნებაო, რომ ქალაქის თავმა იშუამდგომლოს უმაღლესს მთავრობასთან, რომ ეს უკანონოთ დაჭერილი ფული ისევ დაუბრუნონ ქალაქს.

ხმოვანი ლ. კ. ე ლ ი ა მ ი რ ზ ო ვ ი ეთანხმება ამ წინადადებას. ხმ. ა. ა. ხ ა რ ა ზ ო ვ ი ს აზრი ის არის, რომ ჯერ ვითხოვოთო და თუ არ დაგვიბრუნეს, მერე საჩივარი შევიტანოთო. ხმ. ა. ზ. ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ს უკვირს, რომ ერთსა და იმავე საგანზე რამდენჯერმე განაჩენს ვადგენთ და მერე ისევ ჩვენვე ვარღვევთო. ამ საგანზე ორჯერ იყო მოლაპარაკება, ორჯერ გადავწყვიტეთო და ახლა მესამედ გვაქვს სჯაო.

კრებამ არ მიიღო მხედველობაში ხმ. თამამშოვის წინადადება და გადაწყვიტა, რომ გამგეობამ საჩივარი შეიტანოს და მოითხოვოს ამ ფულების დაბრუნება.

პირუტყვის დაკვლის გადასახადის იჯარით მიცემაზე, ერთს გასულს სხდომაზე ქალაქის რჩევამ გადაწყვიტა, რომ ეს იჯარა მიეცეს ქალაქის ხელოსნებს წელიწადში 30,000 მანეთად, თუ ამათი თავი უფ. ა. ი. კაპანაძე წარმოადგენს იმათგან ვექილობას. როგორც ახლა აღმოჩნდა, უფ. კაპანაძეს დღემდინ ეს ვექილობა არ წარმოუდგენია, რადგან უსტაბაშების არჩევა არისო და მოცალება არ მაქვსო. ამის გამო უპრავის ჰაზრი იყო, რომ ეს იჯარა მი ცათ ისევ უფ. დავრიშოვისა და ზრიქუროვისათვის, რომელთაც ადრე ერგოთ ვაჭრობის დროს (ტორგით). ხმ. კაპანაძე თხოულობდა, რომ ერთი თვე ედროებინათ იმისთვის, ვექილობის წარმოსადგენათ. ხმოვ. უფ. ევანგულოვი და მესხი ურჩევდნენ კრებას, რომ უკანასკნელი ლონის-ძიება მიეცათ ხელოსნებისათვის და ერთი თვე მიეცათ ვადა; თუ ამ ერთს თვეში უფ. კაპანაძე ვერ წარმოადგენდა ვექილობას, მაშინ ეს იჯარა ისევ დავრიშოვისა და ზრიქუროვისათვის გარდაეცათ.

კრებამ გადაწყვიტა: პირუტყვის დაკვლის გადასახადის იჯარა გარდაეცეს ზრიქუროვსა და დავრიშოვს.

შემდეგ, უფ. სტატკოვსკის პროექტის თანახმად, კრებამ ამოირჩია ქალაქის შენობითი და სამეურნეო (хозяйственная) კომისიები: პირველს კომისიაში ამორჩეულ იყვნენ: სტატკოვსკი, ხოჯამინასოვი, ალხაზოვი, ზალცმანი, და მ. ბებუთოვი. მეორეში: სტატკოვსკი, პოლტარაცკი, ფითუაშვილი, ბაბანოვი და აქიმოვი.

უკანასკნელად კრებაში ბევრი ლაპარაკი აღძრა ხმ. ალადათოვის აზრმა, რომ პოლიციმეისტერს არა აქვს არავითარი უფლებაო, სახლის-მეპატრონეებს მოსთხოვოსო, რომ ამათ გაწმინდონ ქუჩები თავიანთ სახლების წინ, რადგან ამისათვის სახლის პატრონები ცალკე გადასახადს იხდიან და ეს საქმე ქალაქის ბამგეობას აქვს მინდობილიო, რომელიც 20,000 მანეთზე მეტს ხარჯავს ამისთვის წელიწადშიო.

—მითქმის ესევე აზრი წარმოსთქვა ხმოვანებმა, პოლტორაცკიმ და სხვებმა. განსაკუთრებით გაცხარებით ილაპარაკა ხმ. პოლტორაცკიმ, რომლის წინადადებით, კრებამ გადაწყვიტა, უჩივლონ უფ. პოლიციმეისტერს ღუბერნატორთან, რომ შემდეგში იმან აღარ მოსთხოვოს ქუჩების გაწმენდა სახლის-პატრონებსა, რადგან იმას არაევითარი უფლება არა აქვს ამგვარის მოთხოვნილებისა.

სხდომა დაიხურა ღამის მეთორმეტე საათის ნახევარზე.

მარტვილის სასულიერო სასწავლებელი

ეს ორ-კლასიანი სასწავლებელი შემდეგში მიმატებით თითო-თითო კლასისა გახდა ბოლოს ოთხ-კლასიანი და იყო გარდაწოდებულ სამეგრელოს სამაზრო სასწავლებლად. ეს მოხდა ეგონებ 1866 წ.

თუმცა სასწავლებელი გახდა ოთხ-კლასიანი, თუმცა ის იყო სამაზრო და შეიცავდა მრთელს ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის მაზრას, მარამ სარგებლობა იმაზედ მეტი, რაც უწინ მოჰქონდა, როდესაც იყო მარტვილის საპრიხოდო შკოლათ, არ მოუტანია და არც შეეძლო მოეტანა.

შკოლის მაზრას, როგორც ზევით მოვიხსენე, მაშინ შეადგენდნენ სამი მაზრა და ეხლა, თუმც ლეჩხუმის ნაწილი მიეწერა ჭუთაისის მაზრას, სამეგრელოს მიეწერა მრთელი აბხაზეთი თავის იქით საზღვრამდე. მარტვილი კი მდებარეობს ზედ კიდეზედ იმერეთ-სამეგრელოსი, ოთხის ან ხუთის ვერსისს მოშორებით მდინარე ცხენი-წყალისა, შიგ მთის ძირში. არ არის საჭირო გეოგრაფიის ცოდნა, არ არის საჭირო ციკრკული და მასშტაბი; აიღეთ კარტა, გადააკლეთ თვალი და წამსვე დაინახავთ რაში მდგმოიარეს საქმე; აიღეთ ხელში ნამჯა და გაზომეთ: დაინახავთ, რომ რაც მანძილი იმერეთის კიდიდამ მარტვილამდე არის, უკანასკნელი ასი იმოდენა მარტვილიდამ სასწავლებლის იქით და ზევით საზღვრამდეა. ისიც რომ მიიღოთ სახეში, რომ აფხაზეთი არ არის ჯგუფი მოხალხე, იქ არ არის ქრისტიანები, რომლისთვისაც არის სასულიერო სასწავლებელი, მაინც ინგურამდე, ზუგდიდის იქით მაზრამდე ორმოცჯერ, ორმოც-და-ათჯერ უფრო მეტია, სინამ ჭუთაისის სასწავლებლის საზღვრიდამ მარტვილამდე.

ამასთან რომ მიიღოთ სახეში უგზოობა, ცალის მხრით ცხენის-წყალი, მეორეს და მესამეს—მდ. აბაშა, რომელნიც გაზაფხულზე გაუსელელნი ხდებიან, ცხადათ დაინახავთ, თუ რა გაჭირებაში არიან სენაკ-ზუგდიდის და აფხაზეთის მაზრის მამები, როცა მათ მოჰყავთ შვილი სასწავლებელში, მოდიან მათ სანახავათ, მოაქვსთ ძმად-ლომი, სული გული და ამისთანები და რა შედარებითი უკეთესს მდგომარეობაში არიან მარტვილელები და ახლო სოფლელები, თუმცა სასსწავლებლის ხარჯში მათ, შედარებით სენაკ-ზუგდიდ-აბხაზელებთან, მეხუთედიც არ შემოაქვსთ.

1869 წელს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მოხდნენ ცვლილებანი მოთხოვნილობისამებრ ახალის უსტავისა სასულიერო სასწავლებელთა. თქმა არ უნდა, რომ ამ ცვლილებებმა არა უშველა რა სასწავლებელს, არ მოუტანეს, გარდა იმისა, რომ სხვა ჭირებს მოუმატეს ახლები, თუმცა რომ აღსრულდნენ არამც თუ უმეტესი მისი მოთხოვნილებანი; არამედ ნახევარიც, ნაოთხადიც სასწავლებელს ეშველებოდა რამე, ეხლა კი მოემატა მოთხოვნილება, მოემატნენ კლასიკური ენები და წინააღმდეგი კეთილის საქმის წინ წაყვანისა საბუთები კი დარჩნენ ისევ მრთელს თავიანთ ძალაში. ეს საბუთები არიან შემდეგნი: პირველად ხსენებული კიდეობა, მოშორება და მიუარდნილობა სასწავლებლის მდებარეობისა სხვა ყველა ალაგებიდამ, სასწავლებლის მდებარეობისა სხვა ყველა ალაგებიდამ სასწავლებლის მაზრისა.

აქედამ წარმოსდგა და ეხლაც წარმოსდგება შემდეგი: მაშენებელ-ბანაკრები და მასწავლებლების შოვნა. მასწავლებელი, რომელიც მიდიოდა და მიდის მარტვილში, წინდაწინვე იცის, რომ ის იქნება იმ ალაგს, საცა მოკვეთილი იქმნება ყველა ქვეყანას; საცა შეიძლება 4, 5 თვე გაივიდეს, მან ძროხის ხორცი თვალით არ დაინახოს; საცა არ ექმნება სახლი, რომ დადგეს და იძულებული იქმნება იცხოვროს ფაცხაში; საცა, თუ გახდა ავათ უნდა მიენდოს ღმერთს და ილბალს, რადგანაც სადა აქვს 40—50 მანეთი, რომ დაიძახოს დოქტორი ჭუთაისიდამ;—ისიც წამოვა თუ არა; სადაც, თუ დეეხა სერთუკი ან გაუცვდა, უნდა დაბღლარძულმა იაროს, სანამ ჭუთაისში წავა; სადაც ერთის სიტყვით, ის მცხოვრები კი არა, წამებულია.

მანდ, თფილისიდამ ან ჭუთაისიდამ კი ნურავინ მეტყვის, რომ საქმე იმაშია, რომ მაგისთანა შემთხვევაში გადადოს თავი საზოგადო სარგებლობისათვისო, კეთილ-ცხოვრება ყველას შეუძლიანო! აქ მობძანდით, იქონიეთ წელიწადში 420 მანეთი, გამოსცადეთ ეს ყველაფერი თქვენს ტყავზედ, გამოიარეთ ეს და ასჯერ უმეტესი სხვა-სხვა წერილი, მაინც ძრიელ საგრძნობელი შეეიწროებანი და მასკვან ილიბერალეთ!... ამასთან ნუ თუ სხვაგან, სხვა-მხრივ არ შეიძლება სარგებლობის მოტანა და არა ნაკლები აწინდელისა? მაგრამ სარგებლობაც რომ არ არის! რომ ჰხედავ თვალით, რომ შენი შრომა, სასწავლებელი აწინდელს მდგომიარებაშია, სიზიფის შრომაა, მაშინ რაღას იტყვით? რომ საქმე დიახაც ამაში მდგმოიარებს—იხილეთ: ბოვშვები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ისე, რომ თქვენ კლასში, ჯვარს რომ ეცვათ, მაინც ძრიელ, ძრიელ ცოტა გამოვა თქვენია ჯვარ-ცმიდამ. ცხოვრობენ ან თავის-თავით, 5—7 ერთად, ან მოსახლესთან. პირველს შემთხვევაში მათი ცხოვრება არის შემდეგი: დილით ორი ვერსის და მეტის მოშორებით კლასში; იქ ორ საათამდე; შემდეგ შინ და კეცი, მჭადის მოზელა და გამოცხობა თავისის ხელით, შეთანთელა ასე საჩქაროთ სადილისა და უროკი. უროკი არის მაგალითად: ერთი ლათინური, ერთი ბერძული, ერთი გეოგრაფია, ერთი არითმეტიკა. აბა, ბოშო, აბა, მარდათ. მარამ ვაი დალამდა, სანთელი ჩკა, ზამთარში შეშა უმეტესს ნაწილათ იოხტურ... მოდი და ისწავლე, მოდი და ასწავლე!

ცხოვრება იმათი, ვინც მოსახლებთან დგანან, განირჩევა ძრიელ ცოტათი: იგივე მჭადი, იგივე ღომი, სული-გული—ლუკულის სატულია; სტოლი რომ ზედ იკითხოს ან წეროს, ნიატუ, და სწერს, ძველებურათ, ჩვენებურათ, მოკრუნჩხული, მუხლებზე. დაწვა, დაიძინა. სძინამს ფაცხაში: აქედამ ქარი, იქიდამ ქარი, ცალის მხრივ ჯარი ან ფური, მეორეს მხრივ სახლის პატრონი, ცოლ-ქმარნი ერთს ქვეშაგებში...

მობძანდით, ასწავლეთ, გამოზარდეთ ყმაწვილი კეთილ ქცევაში, უმანკობაში...

(ბაგრძელება)

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტის გადაწყვეტილებით მოწვეულია ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთ ჩვეულებრივი საზოგადო კრება 25-ის აპრილის დილის 11 საათზედ ქ. ქუთაისს ბანკის სადგომზე, თ. კ. ნიჯარაძის სახლში.

განსახილველი საგნები:

1. წარსული წლის ანგარიში.
2. აღრჩევა ორთა წევრთა ზედამხედველის კომიტეტისა.
3. აღრჩევა ერთის დირექტორისა.
4. მოხსენება ბანკის დამაფუძნებელთ სიის შედგენაზედ.
5. ხაზინაში ფულის შენახვისათვის დაჯილდოება იქ მოსამსახურე პირთა.
6. ბანკის წესდების რაოდენთამე მუხლთა შეცვლა და შევსება.
7. სახლის აშენება სადგომად ბანკისა და ქალაქის მმართველობისა.
8. მოსამზადებელის კლასის დაფუძნება.
9. ანგარიში ფულებისა, რომელიც დანიშნული იყო შესაწევნელად მოსწავლეთა.
10. რა დანიშნულება მიეცეს ბანკის სარგებლის იმ ნაწილს, რომელიც საზოგადო საჭიროებისათვის არის გადადებული.
11. ბანკის ხარჯების შეცვლაზედ.
12. აღრჩევა ბანკის გამგეობის თავ-მჯდომარისა, ნაცვლად გარდაცვალებულის ბესსარიონ ლევანის ძის ღოღაბერიძისა.

თავმჯდომარე ზედ მხედველის კომიტეტისა **ასათიანი.**

(3—1)

ოთხშაბათს, 21 მარტს 1879 წელსა

უწინდელს მუზიკალურს საზოგადოებაში, სალდათის ბაზარში,

დამშეულ ქობულეთლების სასარგებლოდ იქნება

ქართული წარმოდგენა.

I

გეპო, მინას და კ°.

კომედია სამს მოქმედებად

II

სხვა რიგი სიყვარული

ვოდევილი ერთს მოქმედებად.

ანტრაქტში იმღერებს აბდულ-ბალი.

ბილეთების აღება შეიძლება **როზინოვის** ფოტოგრაფიაში, სასახლის ქუჩაზე, **სარაჯოვის** სახლში.

(1—1)

თფილისში უფ. **ბ. ჩარკვიანის** წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ. ქოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში **იყიდება:**

ალმანახი

შედგენილი

ბ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯაფელისაგან გამოვიდა და იყიდება **თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ბროიტროვის** და სხვა წიგნის მაღაზინებში და **„ივერიის“** რედაქციაში. **სამეგრელოში** დ. **სუჯუნას, ბ. თოფურიძის** დუქანში და **აბაშის** სტანციაზე **პ. მელიქოვის** დუქანში, **ზესტაფონს ჩუბინიძის** და **ქოსტავასდუქანში.**

ფასი ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კოპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კოპეიკათ.

უფ. ბიბო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

იყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვეითი დუქნებში. ბარემე პირველს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

„ჰაერ ოსტატი“

კომედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება

მ. ჯორჯაძისა

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
უვარილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	2						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
უვარილა . .	1	18	ღამ.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ყაზკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურს, ვარშავას . . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) **თფილისიდამ:** საზღვარ გარეთ, ქუთაისს, **რუსეთს**— ყოველ დღე კვირას გარდა. **ზუგდ.** ორშ. და ხუთშ. **ოზურ.**—პარასკ. და ორშ. **ქაზეთს**— სამშ. და შაბ. ბ) **ქუთაისიდამ: თფილისისა** და **ფოთისაკენ**— ყოველ დღე, კვირას გარდა. **ოზურგეთს**—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
დ.ბეჭდილის (ხმი მიხსალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 20 მარტს.		
ფქვ. ფეთ. ბანჯისა, ფთ.	1	60
ფქვილი წითელი . . .	1	40
ქერი ფუთი	1	10
ბამბა ერეკ.ისა, ფუთი .	7	40
— **ამერიკისა, ფუთი** . .	8	50
ბაპენტილი ბ.მბა ფუთი.	9	70
მატყლი თუშური ფუთი	6	50
— **თარაქამისა ფუთი** . .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	30
ქონის სანთელი ფუთი .	7	55
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	55
ხორცი ძროხისა, ლიტ	1	8
—**ცხვრისა, ლიტრა** . .	1	8
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, ბროტ. ფუთი .	7	45
—**ფხვნილი ფუთი** . .	5	60
ყავა გრგვალი, გირვ .	—	65
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	70
თამბაქო, ხაშუალო ფთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაედანზე, **წ.ნამძღვაროვეს** სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ **ყოველს** დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერნიშევი და **ბარლეგინი**—**შინგ. ავად.**, **ქიუჩარიანც**—**ქალის ექიმი** და **საშვილოსნის ოპერაციები.**

სამშაბათს: ვერმიშევი—**შინგ. ა. ბახუტოვი**—**საბებით** და **ბავშვის. პეუნოვი**—**თვალის.**

ოთხშაბათი: ვერმიშევი **შინგანი ავათმყოფობის.**

ხუთშაბათს: ვერმიშევი—**შინგ., ქიუჩარიანცი**—**სიფილიტიკური** და **საშარდე ორგანების.**

პარასკევს: ვერმიშევი—**შინგ., ა. ბახუტოვი**—**საბებით, ქალისა** და **ბავშვების.**

შაბათს: ვერმიშევი **შინგ.**, **და** **პეუნოვი**—**თვალისა.**

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Марта 1879 г. Типографія Меликова. **ბამოცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.**